



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ვაგბეგაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მაგრიკიშვილი


27 12 2019 წელი

N 75/36

ეგზ.: N1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
2017-2018 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი	
გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაცია	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
აუდიტის საგანი	9
აუდიტის მასშტაბი	9
აუდიტის კრიტერიუმები	10
აუდიტის მიზანი	11
აუდიტის მეთოდოლოგია	11
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
აუდიტის მიგნებები	12
ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები	13
ტენდერის გვერდის ავლით შესყიდვების განხორციელების რისკი	15
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	22
უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები	22
დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები	25
გამარტივებული წესით შეძენილი სამშენებლო სამუშაოები	27
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	28
სოფელ ანაგაში ჭაბურღილებისა და წყალსადენის ქსელის მოწყობა	33
ტენდერის არასამართლიანი შეწყვეტა	34
ავტომატური რაოდენობა და საწვავის ხარჯვა	36
დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება	39
უფასო სასადილოს მომსახურების დაფინანსება	41
საკონსულტაციო მომსახურება	42
კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს დაფინანსება	43
საკრებულოს წევრების ანაზღაურება	44
ინვენტარიზაცია	46
შიდა აუდიტი	47
სიღნაღის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა- ნაკლოვანებების მდგომარეობა	49
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	50

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

-)/ მუნიციპალიტეტი – სიღნაღის მუნიციპალიტეტი.
-)/ მერია – სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია.
-)/ საკრებულო – სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
-)/ შემსყიდველი – სიღნაღის მუნიციპალიტეტი.
-)/ შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
-)/ ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
-)/ სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- 1) მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემის, საგზაო სამუშაოების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ თავი აარიდა ელექტრონულ ტენდერებს და მათი შეძენა განახორციელა გამარტივებული შესყიდვით, როგორც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუმცა შესაბამისი საფუძვლები არ არსებობდა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. გარდა აღნიშნულისა, ვერ იქნა უზრუნველყოფილი კონკურენტუნარიანი გარემო, პრეტენდენტთა მიმართ პროპორციული მიდგომა და შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობა.
- 2) მუნიციპალიტეტში სამუშაოების მიღება-ჩაბარების ეტაპზე არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამორიცხავს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარებას. კერძოდ, შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, ხოლო ექსპერტიზა შესრულებულ სამუშაოებზე ხარისხის გამოკვლევის მიზნით ჩატარებული არ არის და ეხება მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობებს. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები.
- 3) 2018 წელს საგზაო სამუშაოების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. მიზეზები, რის გამოც მიმწოდებელმა დროულად ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება, არ არის სათანადოდ არგუმენტირებული. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ქმედებით თუ უმოქმედობით, დაკარგა ხელშეკრულების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული, საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხის მიღების შესაძლებლობა.
- 4) არაკვალიფიციურად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის არასათანადო მიდგომის გამო, დაუსრულებელია სოფ. ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობა, ასევე დაუსრულებელია ქ. სიღნაღში დენდროლოგიური პარკის კეთილმოწყობისა და ქ. წნორში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების ნაწილი. მიუხედავად ამისა, როგორც პროექტანტის, ასევე საექსპერტო კომპანიის მიმართ, რომელმაც საპროექტო დოკუმენტაციაზე დადებითი დასკვნა გასცა, მუნიციპალიტეტს შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

-) მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების გამო, საგზაო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი შეწყდა, ხოლო ხელშეკრულებით გამოცხადებულ ტენდერში ხელშეკრულება გაუფორმდა კომპანიას, რომელმაც იგივე სამუშაოები შეასრულა უფრო მეტი ღირებულებით. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი დაიხარჯა არაეკონომიურად.
-) მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.
-) სიღნაღის მუნიციპალიტეტში არასაკმარისი კონტროლის მექანიზმებისა და შესაბამისი ღონისძიებების გაუტარებლობის გამო, დასუფთავების მოსაკრებლის მნიშვნელოვანი წილის გადამხდელები არიან ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირები. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის სრული აღრიცხვა. შედეგად, მუნიციპალიტეტში არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას, დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე.
-) 2018 წელს ქ. სიღნაღისა და ქ. წნორის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი 184 მოქალაქისათვის საკვების მომზადებისა და მიწოდების მომსახურებას შემსრულებელი ახორციელებდა არაჯეროვნად. მიუხედავად ამისა, მერიას შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია. შედეგად, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფმა მოსახლეობამ ვერ მიიღო ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხიანი მომსახურება.
-) მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურებისთვის ხარჯის გაღება, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ამდენად, მერიის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეულია არარაციონალური ხარჯი.
-) 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს გრანტის სახით გადაეცა ფინანსური რესურსი. მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განახორციელა ა(ა)იპ-მა და შედეგად რა სარგებელი მიიღო მუნიციპალიტეტმა.
-) მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

- ქ) 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.
- ქ) მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და დასახული მიზნების მიღწევას, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა არასათანადოდ.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, დროულად დაგეგმოს მიღებული შემოსულობების და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ხარჯვა. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტის განსახორციელებლად, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობისათვის მიწოდებულ მუნიციპალურ სერვისებს.

რეკომენდაცია №2. მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, მოქმედი სტანდარტების დაცვით, სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც ევალებოდათ სამუშაოების მონიტორინგი, ობიექტების მიღება და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3. სიღნაღის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და

კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

რეკომენდაცია №4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს ტენდერის შეწყვეტის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიური და რაციონალური მართვა. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შერჩევა-შეფასების თითოეულ ეტაპზე დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო პროცესის სრულყოფილად წარმართვას და პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის დადგენას სატენდერო მოთხოვნებთან.

რეკომენდაცია №5. მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე. მერიამ დააწესოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის არარაციონალური და არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების თავიდან აცილებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს საწვავის ხარჯვის საკითხი და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები პასუხისმგებელი პირების მიმართ.

რეკომენდაცია №6. მუნიციპალიტეტის მერიამ, დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის გაანგარიშება. ასევე დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მობილიზებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

რეკომენდაცია №7. მუნიციპალიტეტის მერიამ, შტატით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის, არ გადაიხადოს დამატებითი სახსრები. მიზანშეწონილია, მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სათანადო კვალიფიკაციის პირების დასაქმებას. ამასთან,

საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს შეუძლია შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% მიმართოს მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ აანაზღაუროს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №9. მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. შედეგად, შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების (მეტობა ან დანაკლისი) დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა, რაც გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №10. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ შესაძლებელი იყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №11. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს, რატომ არ განხორციელდა სათანადო რეაგირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის დროს გამოვლენილ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, დამატებით შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ანგარიშში მითითებული დარღვევა-ნაკლოვანებების სრულად აღმოსაფხვრელად. ასევე გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებაზე რეაგირება.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური

რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში – 19,809.0 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი – „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №6 დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

¹ 2017-2018 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება – მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ┐ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ┐ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ┐ მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 14 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 2 ქალაქს, და 19 სოფელს.² თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1251.7 კვ.კმ,³ მოსახლეობის რიცხოვნობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 29.5 ათას კაცს,⁴ ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სიღნაღი.

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 4,817.9 ათასი ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 175.6 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 8,502.5 ათასი ლარი; განათლება – 3,358.7 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 1,991.5 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 962.8 ათასი ლარი.

² <https://napr.gov.ge/>

³ <http://www.sighnaghi.gov.ge>

⁴ www.geostat.ge

აუდიტის მიგნებები

ბიუჯეტი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2017-2018 წლების შემოსულობებმა 19,964.3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 19,809.0 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები და გადასახდელები 2017-2018 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2017			2018		
	დაზუსტებული გეგმა	ფაქტი	შესრულება	დაზუსტებული გეგმა	ფაქტი	შესრულება
შემოსულობები	8,459.7	8,738.8	103%	11,333.7	11,225.5	99%
შემოსავლები	8,299.7	8,624.0	104%	11,116.4	10,976.2	99%
არაფინანსური აქტივების კლება	160.0	114.8	72%	217.3	249.3	115%
ფინანსური აქტივების კლება	0	0	-	0	0	-
ვალდებულებების ზრდა	0	0	-	0	0	-
გადასახდელები	10,503.0	9,399.3	89%	13,463.6	10,409.7	77%
ხარჯები	5,430.7	5,420.3	100%	7,427.8	6,891.5	93%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,943.4	3,851.4	78%	5,914.1	3,396.5	57%
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	-	0	0	-
ვალდებულებების კლება	128.9	127.6	99%	121.7	121.7	100%
ნაშთის ცვლილება	-2,043.3	-660.5	-	-2,129.9	815.8	-

2017-2018 წლებში შესრულების დაბალი მაჩვენებლები, შესაბამისად, 89% და 77%, ძირითადად განპირობებულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ნაწილობრივ შესრულებით: 2017 წელს – 78%-ით, ხოლო 2018 წელს – 57%-ით. აღნიშნული მუხლი მოიცავს ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას. თანხების აუთვისებლობა, ძირითადად, გამოწვეულია დაუსრულებელი პროექტებით. ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში №2.

ცხრილი №2. ინფორმაცია 2017-2018 წლების ბოლოს შეუსრულებელი პროექტების შესახებ

წლები	სამუშაოს დასახელება	პროექტის ღირებულება (ათასი ლარი)	შესრულებული სამუშაოების ღირებულება (ათასი ლარი)	შესრულებების %
2017 წელი	ქ. წნორში, სოფ. ნუკრიანში, ძველ ანაგასა და ქვემო მაჩხანში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები	176.7	0	0%
	სოფ. ბოდბისხევის საბავშვო ბაღის მშენებლობა	393.2	311.9	79%
	სოფ. ჯუგანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	79.5	0	0%
	ქ. სიღნაღში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის და სოფ. ბოდბეში გზის რეაბილიტაცია	116.2	53.7	46%
	გარე განათების ქსელის მოწყობა	38.2	0	0%
	მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა	32.8	0	0%
2018 წელი	სოფ. ბოდბეში, თოღლაანთ უბანში საბავშვო ბაღის მშენებლობა	527.0	174.7	33%
	სოფ. ანაგაში სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	350.1	0	0%
	ქ. სიღნაღში, მოსაშვილის და მოსულიშვილის ქუჩების გზის რეაბილიტაცია	249.0	0	0%
	ქ. სიღნაღში, აბრამიშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	229.3	0	0%
	სოფ. ნუკრიანში, მარტანის უბნის გზის საფარის მოწყობა	188.5	0	0%
	ქ. წნორში, თავისუფლებისა და ერეკლე II-ის ქუჩების გზის რეაბილიტაცია	151.3	0	0%

სიღნაღის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის სათანადო დაგეგმვა და შესრულება,⁵ რის გამოც, ინფრასტრუქტურული პროექტების სახით განსაზღვრული პროდუქტი მოსახლეობას დადგენილ დროში ვერ მიეწოდა. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ მიღებულ არაეფექტიან გადაწყვეტილებებზე.

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტმა მიღებული შემოსულობები და საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები სრულად უნდა ასახოს ბიუჯეტში და მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სასიკეთოდ.

გამოვლენილი გარემოება. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,877.6 ათასი ლარი, საიდანაც 2017 წლის ბიუჯეტით დაიგეგმა 2,043.4 ათასი ლარის

⁵ პროექტები უნდა დასრულებულიყო შესყიდვის პერიოდში, თუმცა ვერ მოესწრო და გადავიდა შემდეგ წელში.

ხარჯვა, ხოლო დანარჩენი თანხა – 834.2 ათასი ლარი,⁶ მუნიციპალიტეტის წლის განმავლობაში ერიცხებოდა ანგარიშზე. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი მტკიცებულებები, რატომ არ დაგეგმა მუნიციპალიტეტმა აღნიშნული თანხების ხარჯვა. 2017 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების კლებამ 660.5 ათასი ლარი შეადგინა და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 2,217.1 ათასი ლარი (მთლიანი გადასახდელების 24%), მათ შორის, თავისუფალი ნაშთი – 1,612.7 ათასი ლარი, რაც ქონების გადასახადის სახით მიღებული დაუგეგმავი შემოსავლებითა და ტენდერებში მიღებული ეკონომიით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის შედეგად ფულადი სახსრები გროვდება წლის განმავლობაში, შესაბამისად, მერიას შეეძლო ამ თანხებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ამასთანავე, 2018 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 2,129.9 ათასი ლარის ნაშთის გამოყენება. არსებული ნაშთიდან არ დაგეგმილა 87.2 ათასი ლარის⁷ ხარჯვა. ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 815.8 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა – 3,032.9 ათასი ლარი (მთლიანი გადასახდელების 29%), მათ შორის, 840.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. 2018 წლის თავისუფალი ნაშთი ძირითადად მოიცავს ტენდერებიდან მიღებულ ეკონომიებს.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საბიუჯეტო სახსრების ათვისების მაჩვენებელი დინამიკაში წლიდან წლამდე უარესდება, რაც მმართველობითი გადაწყვეტილებების არაეფექტიანობაზე მიანიშნებს.

დასკვნა: სიღნაღის მუნიციპალიტეტს შეეძლო 2017-2018 წლებში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენების სათანადო დაგეგმვა, რაც არ განუხორციელებია. 2017-2018 წლების ბოლოს მერიას აუთვისებელი დარჩა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, დროულად დაგეგმოს მიღებული შემოსულობების და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ხარჯვა. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტის განსახორციელებლად, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობისათვის მიწოდებულ მუნიციპალურ სერვისებს.

⁶ 2017 წლის გადასახდელების 9%.

⁷ 2018 წლის გადასახდელების 1%.

ტენდერის გვერდის ავლით შესყიდვების განხორციელების რისკი

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას შესაძლებელია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული ფორმით.

გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება და ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.⁸

საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,⁹ 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აღწეოდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

ზოგადი აღწერა: სიღნაღის მუნიციპალიტეტი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესებს, რიგ შემთხვევაში არაობიექტური მიზეზებით ახანგრძლივებს. შემდეგ მიმართავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, შესყიდვების გამარტივებული ფორმით განხორციელების ნებართვის მისაღებად. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ მუნიციპალიტეტი აღნიშნული ნებართვის მისაღებად პროცესებს შეგნებულად ახანგრძლივებს, რასაც სისტემური ხასიათი გააჩნია.

გამოვლენილი გარემოება 1. 2018 წლის ივნისში სიღნაღის მუნიციპალიტეტში განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა დააზიანა სოფ. ანაგაში სასმელი წყლის შემკრები ავზები და მაგისტრალური მილსადენი. მერიის განმარტებით, შექმნილი იყო უმძიმესი მდგომარეობა, მოსახლეობას არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი, ხოლო საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს (სკოლა, ბაღი და სხვ.) წყალი მიეწოდებოდათ შეფერხებით. ობიექტის აღდგენისათვის, საწყის ეტაპზე საჭირო იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნულის შესახებ 2018 წლის 14 აგვისტოს მერიამ მიმართა სააგენტოს,¹⁰ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ნება დაერთო, რომ საპროექტო დოკუმენტაცია შეეძინათ გამარტივებული შესყიდვის

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, პირველი პუნქტი „ლ“ ქვეპუნქტი.

⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

¹⁰ საქართველოს მთავრობის №1468 განკარგულებით თანხა გამოიყო 2018 წლის 1 აგვისტოს.

ფორმით. სააგენტომ გაითვალისწინა არსებული მდგომარეობა და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

მუნიციპალიტეტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, 2018 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულება გააფორმა შპს „გამა კონსალტინგთან“, ღირებულებით – 7.2 ათასი ლარი,¹¹ რომლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 10 სექტემბრამდე. თუმცა მერიის მოთხოვნით პროექტში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, დაემატა სადაწნო კოშკი 2 რეზერვუარით და საქლორატორო. შესაბამისად, გადაიწია მოწოდების ვადაც და სამუშაოები დასრულდა 4 ოქტომბერს, ხოლო პროექტზე ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაიცა 15 ნოემბერს (პროექტის მიღებიდან 42 დღის შემდეგ). ამდენად, საპროექტო დოკუმენტაციის შეძენის პროცესი გაგრძელდა 87 დღე.

სოფ. ანაგაში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესამენად, მუნიციპალიტეტმა 2018 წლის 26 ნოემბერს გამოაცხადა ტენდერი,¹² რომელიც 2018 წლის 21 დეკემბერს შეწყდა (გამოცხადებიდან 25 დღის შემდეგ). კომისიის მსჯელობით, ტენდერის შეწყვეტის მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ სამუშაოების შესრულებისათვის განსაზღვრული 180-დღიანი ვადა, რაც მათივე მოსაზრებით, ზამთრის პერიოდის გათვალისწინებით, არ იყო საკმარისი. შემსყიდველ ორგანიზაციას აღნიშნული მიზეზის გათვალისწინება შეეძლო თავიდანვე, დაგეგმვის პროცესში, რაც არ განუხორციელებია.

2018 წლის 21 დეკემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტმა კვლავ მიმართა სააგენტოს, ნება დაერთო აღნიშნული სამუშაოები შეესყიდათ გამარტივებული ფორმით. არგუმენტად მოყვანილია ის გარემოება, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად თანხები გამოყოფილია 2018 წლის ბიუჯეტით და წლის დასრულებამდე აუცილებელი იყო მისი ათვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფ. ანაგის მოსახლეობის ნაწილი სასმელი წყლის გარეშე დარჩებოდა. სააგენტომ გაიზიარა მუნიციპალიტეტის თხოვნა და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

სატენდერო კომისიასა და მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს თავიდანვე შეეძლოთ სწორად დაეგეგმათ როგორც დასაპროექტებელი კომპონენტები, ასევე სამუშაოს მიწოდების ვადები, რაც არ გაკეთდა. შედეგად, არსებობს რისკი, რომ პროცესი შეგნებულად გაჭიანურდა, რათა სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვით. გარდა ამისა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თანხა გამოიყო 1 აგვისტოს, თუმცა მუნიციპალიტეტმა 26 ნოემბრამდე ვერ უზრუნველყო ტენდერის გამოცხადება. ამასთანავე, ტენდერი შეწყდა და შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის გზით. სატენდერო კომისიის არგუმენტები შესყიდვის გამარტივებული

¹¹ CMR180148901.

¹² NAT 180018375.

ფორმით განხორციელებასთან დაკავშირებით, არ არის მისაღები, ვინაიდან მიზეზების გათვალისწინება თავიდანვე იყო შესაძლებელი.

2018 წლის 27 დეკემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტმა სოფ. ანაგაში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, ხელშეკრულება გააფორმა შპს „ბურჯი“-სთან,¹³ ღირებულებით – 350.1 ათასი ლარი. მიწოდების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 31 აგვისტო. 2019 წლის 17 მაისს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 35.0 ათასი ლარით (ჯამურად – 385.1 ათასი ლარი), ხოლო სამუშაოების დასრულების ვადად – 2019 წლის 30 ნოემბერი. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი მტკიცებულებები სამუშაოების ღირებულების 35.0 ათასი ლარით (10%) გაზრდის გამო, რატომ გახდა აუცილებელი ვადის გაგრძელება 91 დღით.

გამარტივებული ფორმით შესყიდვისას, შესრულების ვადას დაემატა 67 დღე და ჯამურად შეადგინა 247 დღე. მუნიციპალიტეტს შეეძლო ვადის გაზრდისა და გამარტივებული ფორმით შესყიდვის ნაცვლად, გამოეცხადებინა ახალი ტენდერი და დამატებული 67 დღე გამოეყენებინა ტენდერის განსახორციელებლად. შედეგად, შესყიდვა წარიმართებოდა გამჭვირვალედ, კონკურენტულ გარემოში და მუნიციპალიტეტი სავარაუდოდ მიიღებდა ეკონომიას.

აღნიშნული გარემოება ამყარებს რისკს, რომ შესყიდვის პროცესის გაჭიანურება განხორციელებული იყო სამუშაოების, ტენდერის ფორმით შესყიდვის გვერდის ავლის მიზნით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თანხის გამოყოფიდან გასულია 15 თვეზე მეტი, თუმცა სამუშაოები დაუსრულებელია.

გამოვლენილი გარემოება 2. 2018 წლის 29 და 31 ოქტომბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტმა საგზაო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა 2 ტენდერი,¹⁴ რომლებიც არ შედგა, რადგან პრეტენდენტებმა არ მიიღეს მონაწილეობა. ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, სარეაბილიტაციო გზების ორივე მონაკვეთზე სამუშაოები მოიცავდა გზის ნაწილზე ასფალტის, ხოლო ნაწილზე – ბეტონის საფარის მოწყობას. აღსანიშნავია, რომ გზის, როგორც ასფალტის, ასევე ბეტონის საფარით მოწყობა მოიცავს საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, თუმცა ორივე სახეობა თავისი არსით განსხვავდება ერთმანეთისგან და განეკუთვნება სხვადასხვა პროფილს. შესაბამისად, აღნიშნულ სამუშაოებს არსებული პრაქტიკით ახორციელებენ სხვადასხვა შემსრულებლები, ვინაიდან საჭიროებენ შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სპეციალისტებს, გამოცდილებასა და სხვა აუცილებელ მონაცემებს.

¹³ CMR180221644.

¹⁴ NAT180017072 – სოფელ ნუკრიანში, მარტაანის უბნის გზის რეაბილიტაცია; NAT180017193 – ბეჟანიშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია.

2018 წლის 7 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა ხელახლა გამოაცხადა 2 ტენდერი,¹⁵ რომლის მიხედვით ცალ-ცალკე დაჯგუფდა აღნიშნული გზების ასფალტისა და ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. 2018 წლის 21 დეკემბერს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით აღნიშნული ტენდერები შეწყდა, იმ მიზეზით, რომ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში (120 დღე) სამშენებლო ორგანიზაციები ზამთრის პერიოდში ვერ შეძლებდნენ სამუშაოების შესრულებას. აღსანიშნავია, რომ ტენდერები გამოცხადდა 7 დეკემბერს, შესაბამისად, როგორც სატენდერო კომისიისთვის, ასევე ინფრასტრუქტურისა და შესყიდვების სამსახურებისათვის ცნობილი იყო, რომ სამუშაოების წარმოება ემთხვეოდა ზამთრის პერიოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესრულების ვადები უნდა დაგეგმილიყო შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით, რაც არ განხორციელებულა. შედეგად, არსებობს რისკი, რომ პროცესი შეგნებულად გაჭიანურდა, რათა სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულიყო გამარტივებული ფორმით.

2018 წლის 21 დეკემბერს მერიამ მიმართა სააგენტოს სარეაბილიტაციო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის მიზნით ნებართვის მისაღებად. არგუმენტად მოყვანილია არშემდგარი ტენდერები, ასევე გზების სარეაბილიტაციოდ განკუთვნილი თანხების 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფა, რომლის აუთვისებლობის შემთხვევაში, ვერ შეძლებდნენ ეს თანხები 2019 წელს გამოყენებინათ.

2018 წლის 26 დეკემბერს სააგენტომ ნება დართო მუნიციპალიტეტს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესყიდათ გამარტივებული შესყიდვის ფორმით. შედეგად, 2018 წლის 27 დეკემბერს, ქ. სიღნაღში ბეჟანიშვილის ქუჩისა და სოფ. ნუკრიანში მარტაანის უბნის ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „სამშენებლო კომპანია თი ენ სის“, ღირებულებით – 109.6 ათასი ლარი,¹⁶ ხოლო იმავე ქუჩებზე ასფალტის საფარით მოწყობის სამუშაოებზე 27 დეკემბერს ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „გუმბათს“, ღირებულებით – 88.1 ათასი ლარი.¹⁷

აუდიტის ჯგუფმა 2019 წლის 7 ოქტომბერს ვიზუალურად დაათვალიერა აღნიშნული ობიექტები, შედეგად გამოვლინდა, რომ ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ, კერძოდ, აღენიშნება მრავლობითი ბზარები. შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა მუნიციპალიტეტის დაკვეთით განახორციელა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“. რომელმაც დაადასტურა შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობა მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. აღსანიშნავია, რომ ბეტონის საფარი ექსპლოატაციაში შესვლიდან მალევე დაზიანდა. ამასთანავე, ობიექტს გააჩნდა 2-წლიანი საგარანტიო მექანიზმი, მიუხედავად ამისა,

¹⁵ NAT180019303 და NAT180019304.

¹⁶ CMR180221569.

¹⁷ CMR180221538.

მუნიციპალიტეტს აღნიშნული ბერკეტი არ გამოუყენებია და არც საექსპერტო კომპანიისათვის მიუმართავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

გამოვლენილი გარემოება 3. 2018 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ ორჯერ გამოაცხადა ტენდერი,¹⁸ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 20 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, ღირებულებით 61.5 ათასი ლარი. აღნიშნული ტენდერები არ შედგა, რადგან პრეტენდენტებმა არ მიიღეს მონაწილეობა.

2018 წლის 15 აგვისტოს მუნიციპალიტეტმა მიმართა სააგენტოს, აღნიშნული შესყიდვის გამარტივებული ფორმით განხორციელებაზე ნებართვის მიღების მიზნით. მერიის მიერ არგუმენტად მოყვანილია, რომ საბავშვო ბაღებში სასწავლო წელი იწყებოდა 17 სექტემბერს, შესაბამისად, ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, პროცესი დროში გაგრძელდებოდა და აღნიშნული თარიღისათვის ვერ მოესწრებოდა სამუშაოების დასრულება. სააგენტომ მისაღებად ჩათვალა დაფიქსირებული მოსაზრება და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, 2018 წლის 21 აგვისტოს დააკმაყოფილა მერიის მოთხოვნა.

მერიამ სამუშაოების შესასრულებლად ამ შემთხვევაში ხელშეკრულებები გააფორმა 4 მიმწოდებელთან. მონაცემები გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №3. ინფორმაცია საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის შესახებ

№	შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა	შესყიდვის ნომერი	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1	შპს „კამბისინე“	14726.3	CMR180148346	22.08.2018
2	შპს „ბურჯი“	5105.2	CMR180150785	22.08.2018
3	ი/მ შალვა ფხოველიშვილი	21818.0	CMR180150791	24.08.2018
4	ი/მ ივანე ოტიაშვილი	18632.0	CMR180152480	03.09.2018

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, ტენდერები არ შედგა იმის გამო, რომ სარეაბილიტაციო საბავშვო ბაღები განლაგებულია მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, რაც ერთი მიმწოდებლისათვის, სავარაუდოდ, წარმოადგენდა რთულად განსახორციელებელ პროექტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის შესაბამის სამსახურებს შეეძლოთ ამ ფაქტორის გათვალისწინება და პროცესის იმგვარად დაგეგმვა, რომ შესყიდვა განხორციელებულიყო რამდენიმე ტენდერის საშუალებით, რითაც პროცესი წარიმართებოდა გამჭვირვალედ. ამასთანავე, ვაჭრობის შედეგად, სავარაუდოდ, დაიზოგებოდა საბიუჯეტო თანხები.

გამოვლენილი გარემოება 4. სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2018 წლის 21-22 ივლისს განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენებმა, ზარალის აღმრიცხველი კომისიის მიერ შედგენილი

¹⁸ NAT180010560; NAT180011976.

დოკუმენტების მიხედვით, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციული ერთეულის შიდა გზებს.¹⁹ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 სექტემბრის განკარგულებით, გამოიყო 500.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა, დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, 2018 წლის 19 ოქტომბერს მიმართა შპს „პროჯექტ კომპანის“²⁰ (სტიქიიდან 87 დღის შემდეგ). შპს „პროჯექტ კომპანიმ“ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადა და მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 16 ნოემბერს.

2018 წლის 16 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა მიმართა სააგენტოს, გზების სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოების, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, შესყიდვის გამარტივებული ფორმით ნებართვის მისაღებად. მერიის განმარტებით, შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა საზოგადოებრივ ინტერესებს, საფრთხე ექმნებოდა მოსახლეობას, ვინაიდან დაზიანებულ გზებზე შეფერხებული იყო გადაადგილება. ასევე კლიმატური პირობების გაუარესება შეუძლებელს გახდიდა სამუშაოების წარმოებას და საჭირო გახდებოდა ვადის გადაწევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტს თანხა გამოეყო 7 სექტემბერს, ხოლო საპროექტო ორგანიზაციასთან ხელშეკრულება გააფორმა 42 დღის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი სწორად დაგეგმავდა და დროულად გააფორმებდა ხელშეკრულებას საპროექტო ორგანიზაციასთან, შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულიყო ტენდერის გზით. შედეგად, გზების რეაბილიტაციის დაწყება დაგვიანდა და ზამთრის პერიოდის მოახლოებასთან დაკავშირებით, კლიმატური პირობების გაუარესების თავიდან არიდების მიზნით, შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული ფორმით.

მუნიციპალიტეტმა საგზაო სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულებები გააფორმა 4 მიმწოდებელთან,²¹ საერთო ღირებულებით – 476.3 ათასი ლარი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში.

¹⁹ კ. წნორი, სოფლები: ანაგა, ვაქირი, საქობო, მაშნაარი, ნუკრიანი, მაღარო, ტიბაანი, ილიაწმინდა.

²⁰ NAT180011460.

²¹ ხელშეკრულებები გაფორმდა 2018 წლის 21-22 ნოემბერს.

ცხრილი №4. ინფორმაცია გზების რეაბილიტაციის შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	შესყიდვის №	მიმწოდებელი	თანხა
1	სოფლებში: საქობოსა და მაშნაარში საავტომობილო გზის მოხრეშვა	CMR180195720	შპს „ბურჯი“	132637.2
2	სოფლებში: ვაქირსა და ანაგაში გზის მოხრეშვა	CMR180195739	შპს „თი ენ სი“	157163.0
3	ქ. წნორში საავტომობილო გზის მოხრეშვა	CMR180195753	შპს „გუმბათი“	84931.3
4	სოფლებში: ტიბაანში, ილიაწმინდასა და მაღაროში საავტომობილო გზის მოხრეშვა	CMR180195768	ი/მ გიორგი მამაიაშვილი	31883.5
5	სოფელ ნუკრიანში საავტომობილო გზის მოხრეშვა	CMR180195773	შპს „თი ენ სი“	69668.8

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამუშაოების შესასრულებლად მიმწოდებლების მიერ გამოყენებულია 32 400 კუბ.მ ინერტული მასალა (ქვიშახრეშოვანი ნარევი), რომელიც მიმწოდებლებმა მოიპოვეს მუნიციპალიტეტის მიერ მითითებული ბუნებრივი კარიერებიდან.²² აღსანიშნავია, რომ მერიას არ ჰქონდა სსიპ – წიადის ეროვნული სააგენტოს²³ მიერ გაცემული სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზია. გარდა ამისა, რისკის შემცველია, ნამდვილად შეიტანეს თუ არა მიმწოდებლებმა 32 400 კუბ.მ ინერტული მასალა ობიექტებზე, ვინაიდან მასალის ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ 15 371 კუბ.მ-ზე. შედეგად, არსებობს რისკი, რომ პასუხისმგებელ პირებს ჩაბარებული აქვთ იმაზე მეტი მოცულობის სამუშაო, ვიდრე ფაქტობრივად შესრულდა.

დასკვნა: სიღნაღის მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემის, საგზაო სამუშაოების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საერთო ღირებულებით – 1,127.8 ათასი ლარი) შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ თავი აარიდა ელექტრონულ ტენდერებს და მათი შესყიდვა განახორციელა გამარტივებული შესყიდვით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. ამრიგად, ვერ იქნა უზრუნველყოფილი კონკურენტული გარემო, პრეტენდენტთა მიმართ პროპორციული მიდგომა და შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობა. ამასთანავე, გზების მოხრეშვით სამუშაოებზე არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტმა აანაზღაურა იმაზე მეტი სამუშაოს ღირებულება, ვიდრე შეასრულეს მიმწოდებლებმა.

გარდა აღნიშნულისა, მიმწოდებლებს შესრულებული სამუშაოების ღირებულება აუნაზღაურდათ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი

²² სამუშაოები დასრულდა 3, 21, 26 და 28 დეკემბერს.

²³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურებას.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტმა უნდა ჩაიბაროს ისეთი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მერიის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შესრულებელი ვალდებულია გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით.²⁴

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისგან შეისყიდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, მათ შორის:

-)/ ქ. სიღნაღის ცენტრალური ქუჩების სარეაბილიტაციო (პირველი და მეორე ეტაპის) სამუშაოები;
-)/ ქ. წნორში საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები;
-)/ სოფლების: ბოდბის და ბოდბისხევის (ორი ერთეული) ჭაბურღილის და წყალსადენის ქსელის მოწყობა;
-)/ სოფ. ნუკრიანის №17 და სოფ. ანაგის №8 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
-)/ სოფ. ილიაწმინდაში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები;
-)/ ქ. წნორში, სოფლებში: ძველ ანაგაში, ქვემო მაჩხანსა და ნუკრიანში (კალოები), ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა და სოფ. ბოდბეში არსებული მოედნის რეაბილიტაცია;
-)/ ქ. წნორის №2, სოფ. ძველი ანაგის №16 და სოფ. ბოდბის №25 საბავშვო ბაღების შემოღობვა.

აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებას ექსპერტიზის დასკვნების

²⁴ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

საფუძველზე. ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, შემოწმებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ხარისხი.

შესწავლით ირკვევა, რომ ექსპერტიზის მიერ ხარისხის დასადგენად საჭირო კვლევები განხორციელებული არ იყო. შესაბამისად, ჩატარებული ექსპერტიზა არ არის სათანადო და ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე შეამოწმა მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფმა, რომელიც დაკომპლექტებულია ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების თანამშრომლებით. აღსანიშნავია, რომ ინსპექტირების ჯგუფი სრულად დაეყრდნო ექსპერტიზის არასათანადო დასკვნებს და სხვა დამატებითი ღონისძიებები სამუშაოების ხარისხის დასადგენად არ განუხორციელებია.

შედეგად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოები და მიმწოდებლებს სრულად აუნაზღაურა მათი ღირებულება. აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტები, რა დროსაც გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები და მნიშვნელოვანი დაზიანებები, კერძოდ:

ქ. სიღნაღის ცენტრალური ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები

2018 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „ბურჯი“-სგან ტენდერის გზით შეისყიდა ქ. სიღნაღის ცენტრალური ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები (პირველი და მეორე ეტაპები) საერთო ღირებულებით 97.3 ათასი ლარი.²⁵

2019 წლის 9-10 ოქტომბერს აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული პროექტები. შედეგად გამოვლინდა, რომ ცენტრალური ქუჩის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ. კერძოდ, შენობების ფასადის კედლებიდან ჩამოცვენილია შპაკლი და საღებავი, ასევე მოწყობილ ქვაფენილს აღენიშნება ჩავარდნები.

სურათი №1. ყოფილი „რაიკავშირის“ შენობის ფასადი



სურათი №2. ბარათაშვილის №22 ქუჩის ფასადი



²⁵ 27.08.2018 - ხელშეკრულება №129, NAT180011386 სახელშეკრულებო თანხა - 48.9 ათასი ლარი. 27.08.2018 - ხელშეკრულება №128, NAT180011400 სახელშეკრულებო თანხა - 48.4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ პროექტები ექსპლოატაციაში შესვლიდან მალევე დაზიანდა,²⁶ რაც მის უზარისხოვარებაზე მიანიშნებს. დაზიანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საგარანტიო ვადაში არ მიმართეს მიმწოდებელს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევისა, ასევე დაზიანებულია და უზარისხოდ არის მოწყობილი 5 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი №5. დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი).

მიმწოდებელი	შესყიდვის ნომერი	ღირებულება	დაზიანება
ქ. წნორში საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა	NAT17005782	53.6	ასფალტბეტონის საფარი აცვენილია და ზოგ ადგილას აღენიშნება ჩაყვარდნები
სოფ. წუკრიანის №17 და სოფ. ანაგის №8 ს/ზაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები	NAT170006807	76.7	დაზიანებულია კედლები, ჭერი და კარის ჩარჩოები. უზარისხოდ არის მოწყობილი სარინელები
სოფ. ილიაწმინდაში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	NAT170005732	36.0	დაზიანებულია მემორიალური სტელა და სანათები
ქ. წნორში, სოფლებში: ძველი ანაგაში, ქვემო მაჩხანასა და წუკრიანში (კალოები) ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა და სოფ. ბოდბეში არსებული მოედნის რეაბილიტაცია	NAT170008839	99.7	დაზიანებულია სტადიონების ლითონის კარი, ასევე ტრიბუნები და ლითონის დამცავი ბარიერები.
ქ. წნორის №2, სოფ. ძველი ანაგის №16 და სოფ. ბოდბის №25 ს/ზაღების შემოღობვა	NAT170008115	11.9	ბადის ღობე დაზიანებულია, ხოლო ერთ მონაკვეთზე მთლიანად წაქცეულია

ხელშეკრულებების მიხედვით რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო სამუშაოების საგარანტიო ვადაში საკუთარი ხარჯებით გამოეწორებინა ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები, თუმცა მუნიციპალიტეტს დაზიანებების გამოსწორების მოთხოვნით შემსრულებლისათვის არ მიუმართავს.

დასკვნა: საბავშვო ბაღების, სკვერის და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაზიანების მიზეზია შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი. კონტროლის მექანიზმში არსებულმა სისუსტეებმა გამოიწვია უზარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ეყრდნობოდა ექსპერტიზის არასათანადო დასკვნებს, ამასთანავე, უზარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსავლენად არ ახორციელებდა დამატებით ღონისძიებებს. შედეგად,

²⁶ სამუშაოები დასრულდა 2018 წლის 26 ნოემბერს.

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დაენერგა ქმედითი და ეფექტური კონტროლის მექანიზმები და ჩაიბარა 375.2 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ხარისხი სათანადოდ დადასტურებული არ იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, რაც არ განუხორციელებია.

რეკომენდაცია №2. მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, მოქმედი სტანდარტების დაცვით, სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც ევალებოდათ სამუშაოების მონიტორინგი, ობიექტების მიღება და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი. მოქმედი კანონმდებლობით,²⁷ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 200.0 ათას ლარს. ამასთანავე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდისას, მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისად გაზარდოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოითხოვოს საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურება. საბანკო გარანტიის მოთხოვნა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს შესაბამისი საჯარიმო სანქციების გავრცელებისგან.

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები (პირგასამტეხლო). ჯარიმების მიზანია მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია. ხელშეკრულების პირობებით, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის საჯარიმო სანქცია შეადგენს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების

²⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, 3¹ ქვეპუნქტი.

ღირებულების 0.02%-ს. ასევე ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

გამოვლენილი გარემოება. 2018 წლის 26 დეკემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ტექნომშენ ჯგუფს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ. სიღნაღში, მოსულიშვილის და მოსაშვილის ქუჩების გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, თანხით – 249.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2019 წლის 25 იანვრის ჩათვლით.²⁸

მშენებლობის პროცესში ხელშეკრულებაში შევიდა 3 ცვლილება, რის საფუძველზეც მიმწოდებელს გაუგრძელდა სამუშაოების შესრულების ვადა 30 აპრილამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2019 წლის 1 აგვისტომდე, მიზეზად კი დასახელდა უამინდობა. მიუხედავად ამისა, შემსრულებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, აუდიტის მიმდინარეობისას მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა 130.7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ანაზღაურებულია მუნიციპალიტეტის მიერ, ხოლო შესასრულებელი დარჩა 118.4 ათასი ლარის სამუშაო.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა, სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისა და გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, მიმწოდებელს დაარიცხა საჯარიმო სანქცია 9.3 ათასი ლარი,²⁹ რომელიც არ არის გადახდილი; ასევე მიმართა სააგენტოს მიმწოდებლის ე.წ. შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ შპს „ტექნომშენ ჯგუფს“ წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, თანხით – 12.5 ათასი ლარი, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 2019 წლის 2 მაისამდე. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების დროს, მუნიციპალიტეტმა შემსრულებელს მოსთხოვა პარალელურად შეცვლილი ვადების შესაბამისად წარმოედგინა ახალი საბანკო გარანტია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი მიმწოდებელს არ წარმოუდგენია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს საბანკო გარანტიის მისაღებად სხვა სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიამ დაკარგა 12.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

დასკვნა: სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ტექნომშენ ჯგუფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეუსრულებელი დარჩა 118.4 ათასი ლარის სამუშაო. მიმწოდებლის მიზეზები, რის გამოც დროულად ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება, არ არის

²⁸ NAT180017071, ხელშეკრულება №185, 26/12/2018.

²⁹ 04.11.2019 წელი.

სათანადოდ არგუმენტირებული. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ქმედებით თუ უმოქმედობით, დაკარგა საბანკო გარანტიის შესაბამისი თანხის 12.5 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

გამარტივებული წესით შეძენილი სამშენებლო სამუშაოები

კრიტერიუმი. საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,³⁰ 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშ-ფაქტურებით, ხელფასის უწყისებით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გააფორმა 25 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 1,116.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მერია მიმწოდებლებისგან არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ. ამასთანავე, შესრულებული სამუშაოების აქტებისა და სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვების მაჩვენებლების შედარებით ირკვევა, რომ სამუშაოების ერთეულის ღირებულებები ერთმანეთს ემთხვევა და არ ასახავს ფაქტობრივად გადახდილ თანხებს. გაწეული ხარჯის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად, აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა.

აღნიშნულით დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნა, კერძოდ, მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამუშაოები ჩაიბარა და ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად 1,116.4 ათასი ლარი წარმოადგენს შესყიდვების პროცესში შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულ ხარჯს.

³⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

ანალოგიური დარღვევის ფაქტები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ასახულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში, თუმცა პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დასკვნა: 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული გზით შესყიდვა განხორციელებულია კანონმდებლობის დარღვევით. ანგარიშსწორების პროცესში 25 ხელშეკრულების ფარგლებში 1,116.4 ათასი ლარი ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე, რაც ქმნის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

რეკომენდაცია №3. სიღნაღის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განხორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა

კრიტერიუმი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად შედგენილი, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების კომპონენტები და მათი მოცულობები. კვალიფიციური და ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების წარმატებით განხორციელებას.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად მიმწოდებლებისგან შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მათ შორის:

-)/ 2017 წელს ი/მ გიორგი კობალაძისგან შეიძინა სოფ. ქვემო ბოდბის საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს კეთილმოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით – 5.2 ათასი ლარი.³¹
-)/ 2018 წელს ი/მ გურამ მაისურაძისგან შეიძინა, ქ. სიღნაღში დენდროლოგიური პარკის კეთილმოწყობისა და ქ. წნორში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით 5.9 ათასი ლარი.³² მერიის დაკვეთით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებს ექსპერტიზა ჩაუტარა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ და გასცა დადებითი დასკვნა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების შემოწმებით დადგინდა შემდეგი გარემოებები;

სოფ. ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის 14 აგვისტოს განხორციელდა სოფ. ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობის შესყიდვა. ხელშეკრულება გაფორმდა ამხანაგობა „აი თი ემ-თან“, ღირებულებით – 527.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2019 წლის 11 იანვარს.³³

აღნიშნული საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ პროექტი იყო უხარისხო, რის გამოც მშენებლობის პროცესში ხელშეკრულებაში შევიდა 5 ცვლილება. ყველა მათგანი ეხებოდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირებას, რადგან აღნიშნული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ ასახავდა მშენებლობის პროცესის ფაქტობრივ მდგომარეობას, კერძოდ:

- ✓ შენობის ფუნდამენტის კორექცია არ შეესაბამებოდა არსებულ რელიეფს და გეოლოგიურ მდგომარეობას;
- ✓ პროექტის მიხედვით მოსაწყობი იყო ლიფტის შახტა, თუმცა ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული ლიფტის მოწყობილობა;
- ✓ პროექტში არ იყო დატანილი კარ-ფანჯრების ღირებულების ზომები;
- ✓ ნახაზების მიხედვით ვერ ირკვეოდა პირველსა და მეორე სართულს შორის დამაკავშირებელი კიბის მიმართულება და გეომეტრიული ზომები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ეყრდნობოდა ექსპერტიზის დასკვნას, ამასთანავე, უხარისხოდ შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის გამოსავლენად არ ახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს. შედეგად, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის

³¹ NAT170012038.

³² NAT170012329.

³³ NAT180008850.

სამსახურმა ვერ უზრუნველყო გამოველინა პროექტში არსებული ხარვეზები და ჩაიბარა არაკვალიფიციურად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ხარჯთაღრიცხვის პერიოდული ცვლილება იწვევდა სამუშაოების ვადების გადაწევას, შესაბამისად, საბოლოო დასრულების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 8 მაისი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 1 დეკემბერი. აღსანიშნავია, რომ 8 მაისის შემდეგ, ამხანაგობა „აი თი ემ-ს“ ვადის დარღვევის გამო უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო.³⁴ ამასთანავე, მიმწოდებელზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია 375.5 ათასი ლარით, მათ შორის, 8 მაისის შემდეგ – 200.9 ათასი ლარით. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს პირგასამტეხლოს თანხების მისაღებად (რომელიც 2019 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 7.2 ათას ლარს)³⁵ შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

2019 წლის 10 ოქტომბერს აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა სოფელ ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობა დაუსრულებელია და მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები.

სურათი №3 სოფელ ბოდბის ბაღი



წარმოდგენილი დოკუმენტაციით სოფ. ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობის დაუსრულებლობის მიზეზს წარმოადგენს, არაკვალიფიციურად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ხარვეზების გამოსავლენად მერიის ზედამხედველობის სამსახურის არასათანადო მიდგომა. შედეგად პროექტი დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს ობიექტის მომსახურებით.

³⁴ არაჯეროვანი შესრულებისათვის სახელშეკრულებო ღირებულების 1%, ასევე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%.

³⁵ 183 დღე (8 მაისიდან 7 ნოემბრის ჩათვლით).

ქ. სიღნაღის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაცია

2018 წელს ქ. სიღნაღის დენდროლოგიური პარკის სარეაბილიტაციოდ, ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ინსტალ“-სთან, ღირებულებით – 257.8 ათასი ლარი.³⁶ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, სხვადასხვა სამუშაოსთან ერთად გათვალისწინებული იყო პარკის პირველი და მეორე უბნების დამაკავშირებელი კიბეების მოპირკეთება ბეტონის ფილებით. სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ უბნების დამაკავშირებელი კიბის მოწყობა გათვალისწინებული იყო ტერიტორიაზე, რომელიც იყო კერძო საკუთრება, რის გამოც სამუშაოს შესრულება ვერ მოხერხდა. შედეგად, პარკის პირველ და მეორე უბნებს არ გააჩნია დამაკავშირებელი გზა.

გარდა აღნიშნულისა, რიგი სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობები არ შეესაბამებოდა ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულს. შედეგად, საჭირო გახდა მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა. კერძოდ, სახელშეკრულებო ღირებულების შეუცვლელად, ზოგიერთი აუცილებელი სამუშაოს შემცირების ან ხარჯთაღრიცხვიდან სრულად ამოღების ხარჯზე, გაიზარდა იმ სამუშაოების მოცულობები, რომლებიც თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში შემცირებულად იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქ. სიღნაღში დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციაზე გახარჯულია 257.8 ათასი ლარი, რიგი სამუშაოები დაუსრულებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ არაკვალიფიციურადაა შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დენდროლოგიური პარკის მოვლა-პატრონობა ევალება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ – „კომუნალური 1“-ს, თუმცა პარკის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ობიექტი მოუვლელია, კერძოდ, არ ხორციელდება დაგვა-დასუფთავება, ნაგვის გატანა, გათიბვა და სხვ.

სურათი №4. სიღნაღის დენდროლოგიური პარკი



³⁶ NAT180004567

ქ. წნორის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია

ქ. წნორში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 135.7 ათასი ლარს,³⁷ მოიცავდა პარკის ტერიტორიაზე საკალათბურთო მოედნის მოწყობას. ობიექტის ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდა, რომ შესრულებული სამუშაოები არ შეესაბამება პროექტით განსაზღვრულს. კერძოდ, მოედნის საფარი პროექტის მიხედვით უნდა შედგებოდეს 2 ფენისგან, მათ შორის, ქვედა – რკინა-ბეტონის და ზედა – ასფალტის ფენებისგან. ფაქტობრივად კი მოწყობილია მხოლოდ რკინა-ბეტონის ფენა, რომელსაც არ აქვს სწორი ზედაპირი, ხოლო შუა ნაწილი ჩაღრმავებულია. აღსანიშნავია, რომ ასფალტის ფენის დაუგებლობა გამოწვეულია საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზით და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უმოქმედობით. კერძოდ, ასფალტის ფენის დაგება არ იყო გათვალისწინებული სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციაში, საპროექტო და სახარჯთადრიცხვო მონაცემები ამ ნაწილში ურთიერთშეუსაბამოა, ვინაიდან მიმწოდებელმა, შპს „ლედა მშენმა“, სამუშაოები შეასრულა ხარჯთადრიცხვის მიხედვით, საკალათბურთო მოედნის მოწყობა დაუსრულებელია.

სურათი №5. ქ. წნორის ცენტრალური პარკი



დასკვნა: არაკვალიფიციურად შედგენილი საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის გამო, ქ. სიღნაღში დენდროლოგიური პარკის კეთილმოწყობისა და ქ. წნორში ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 393.5 ათასი ლარი, შესრულებულია ხარვეზებით, კერძოდ, სამუშაოების ნაწილი დაუსრულებელია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს, როგორც პროექტანტის, ასევე აკრედიტირებული საექსპერტო კომპანიის მიმართ, რომელმაც აღნიშნულ საპროექტო დოკუმენტაციაზე დადებითი დასკვნა გასცა, შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია. ასევე, სოფ. ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობის დაუსრულებლობის მიზეზს წარმოადგენს, არაკვალიფიციურად შედგენილი საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაცია და ხარვეზების გამოსავლენად მერიის ზედამხედველობის

³⁷ NAT180004571.

სამსახურის არასათანადო მიდგომა. შედეგად, მოსახლეობა ვერ სარგებლობს ობიექტის მომსახურებით.

სოფელ ანაგაში ჭაბურღილებისა და წყალსადენის ქსელის მოწყობა

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი და უსაფრთხო, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა.

მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, წყალმომარაგების ობიექტის მოწყობისას, მიღებული წყლის ვარგისიანობისა და უსაფრთხოების დასადგენად აუცილებელია ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კვლევის ჩატარება. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა უნდა მოიცავდეს მონაცემებს სხვადასხვა ქიმიური ელემენტის დასაშვები ნორმებისა და ფაქტობრივი მოცულობების შესახებ, ასევე მონაცემებს ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა, წყლის სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღვრივე და სხვა ინფორმაცია.

გამოვლენილი გარემოება. 2018 წლის 30 ივლისს სიღნაღის მუნიციპალიტეტმა შპს „ჰიდროგეოსგან“ შეისყიდა სოფლებში (ანაგა, ვაქირი და ტიბაანი) ჭაბურღილებისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 282.3 ათასი ლარი.³⁸

2019 წლის 8-9 ოქტომბერს აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. შედეგად გამოვლინდა, რომ სოფ. ანაგაში წმ. ბარბარეს ეკლესიასთან მოწყობილი ჭაბურღილიდან, მიღებული წყალი სასმელად უვარგისი იყო.³⁹ აღნიშნული ჭაბურღილის და წყალსადენის ქსელის მოწყობის ღირებულებამ შეადგინა 100.2 ათასი ლარი.

სამუშაოები ითვალისწინებდა წყლის ლაბორატორიულ (ქიმიური და ბაქტერიოლოგიური) გამოკვლევას, რაზეც მუნიციპალიტეტმა სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში გადაიხადა 1.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, ჩატარებულია მხოლოდ ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, თუმცა ისიც არასრულყოფილია და გამოცდის შედეგები არ მოიცავს ინფორმაციას სასმელი წყლის ვარგისიანობის შესახებ.⁴⁰ კერძოდ, გამოცდის 6 კომპონენტიდან შედეგი გამოყვანილია მხოლოდ 2-ზე. სავარაუდოდ, დასკვნაში კვლევის შედეგები დაფიქსირებულია მხოლოდ იმ კომპონენტებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ დადგენილ ნორმებს, ხოლო უარყოფითი მონაცემები არ არის დაფიქსირებული.

³⁸ NAT180009353.

³⁹ ვიზუალურად იყო მღვრიე და ყვითელი ფერის.

⁴⁰ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის ლაბორატორია.

ამასთანავე, კვლევის შედეგებს არ ახლავს ინფორმაცია, წყალი სასმელია, თუ ტექნიკური. შედეგად, მოსახლეობას მიეწოდება წყალი, რომლის ვარგისიანობა დოკუმენტურად არ არის დადასტურებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს, რომელსაც წყალზე კვლევის ჩატარებისათვის გადახდილი აქვს 1.0 ათასი ლარი, არ უნდა მიეღო ისეთი დასკვნა, რომელიც არ შეიცავს მონაცემებს წყლის ვარგისიანობისა და მისი გამოყენების დასაშვები პარამეტრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირები ადასტურებენ წყლის უხარისხობას.

დასკვნა: სოფელ ანაგაში, მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილი ჭაბურღილიდან მოსახლეობას მიეწოდება წყალი, რომელიც შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს ჯანმრთელობისათვის. შედეგად, არ არის დაცული მოსახლეობის ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჭაბურღილისა და წყალსადენის ქსელის მოწყობის მიზნით გახარჯული 100.2 ათასი ლარი, არაეფექტიანი ხარჯია.

ტენდერის არასამართლიანი შეწყვეტა

კრიტერიუმი. ელექტრონული შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია. შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის განსაზღვრავს იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი.⁴¹ ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას. დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში გამოყენებულ იქნეს ისეთი მახასიათებლები და ტერმინოლოგია, რომლებიც ორაზროვანია⁴² და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. აუდიტის ობიექტი ვალდებულია მუნიციპალური შესყიდვები განახორციელოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენება და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვა.

გამოვლენილი გარემოება. 2016 წლის დეკემბერში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი⁴³ სოფელ ანაგაში ღვინობაანთ უბანში ასფალტბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სავარაუდო ღირებულებით – 247.1 ათასი ლარი.

ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა 2013-2016 წლებში ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, საერთო ღირებულებით, არანაკლებ 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

⁴¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

⁴² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9, მუხლი 11.

⁴³ NAT160003988.

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ 2 ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს⁴⁴ მიანიჭა დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ მათ გამოცდილება ძირითადად მიღებული ჰქონდათ კერძო კომპანიებთან მუშაობის შედეგად. დისკვალიფიცირებულმა პრეტენდენტმა შპს „საგზაო სამშენებლო კომპანია გი-კო კომპანი“ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოში.⁴⁵

დავების საბჭომ არ გაიზიარა მუნიციპალიტეტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პრეტენდენტებს გამოცდილებაში ჩათვლებოდათ მხოლოდ ტენდერებით შესრულებული სამუშაოები, იქედან გამომდინარე, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნა მსგავს ინტერპრეტაციას არ შეიცავდა. შესაბამისად, საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შპს „საგზაო სამშენებლო კომპანია გი-კო კომპანი“ საჩივარი და დაავალა მუნიციპალიტეტს გადაესინჯა მიღებული გადაწყვეტილება.

მუნიციპალიტეტმა 2017 წლის 27 იანვარს განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, გამოცდილებასთან დაკავშირებული საკითხის გადასინჯვის მიზნით შეეწყვიტა ტენდერი.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იყო ტენდერის შეწყვეტა, შესაბამისად, მუნიციპალიტეტს შეეძლო გაეგრძელებინა შესყიდვის პროცედურები, შერჩევა-შეფასება განხორციელებინა შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოეყენებინა გამარჯვებული.

2017 წლის 10 აპრილს გამოცხადდა ახალი ტენდერი,⁴⁶ სადაც გაიმარჯვა შპს „ინტერ პლიუსმა“, თანხით – 237.2 ათასი ლარი, რომელიც მინიმუმ 27.0 ათასი ლარით მეტია წინა ტენდერში მონაწილე შპს „ჯი ვი თი ჯგუფისა“ და შპს „საგზაო სამშენებლო კომპანია გი-კო კომპანი“ მიერ დაფიქსირებულ ფასებთან⁴⁷ შედარებით.

დასკვნა: სატენდერო კომისიის მიერ შესყიდვის ტექნიკური დოკუმენტაციის არასწორი ინტერპრეტაციისა და არაკვალიფიციური გადაწყვეტილების გამო, სოფ. ანაგაში ღვინობაანთ უბანში ასფალტბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების შემდგომ მიზნით გამოცხადებული ტენდერის შეწყვეტის შემდეგ, ახალი შესყიდვა განხორციელდა 27.0 ათასი ლარით მეტი ღირებულებით, რაც არაეკონომიური ხარჯია.

რეკომენდაცია №4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს ტენდერის შეწყვეტის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს

⁴⁴ შპს „ჯი ვი თი ჯგუფი“ და შპს „საგზაო სამშენებლო კომპანია გი-კო კომპანი“.

⁴⁵ DIS160003988.

⁴⁶ NAT170003938.

⁴⁷ შპს „ჯი ვი თი ჯგუფი“ - 209.6 ათასი ლარი, შპს „საგზაო სამშენებლო კომპანია გი-კო კომპანი“ – 210.0 ათასი ლარი.

საბიუჯეტო რესურსების ეკონომიური და რაციონალური მართვა. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შერჩევა-შეფასების თითოეულ ეტაპზე დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო პროცესის სრულყოფილად წარმართვას და პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის დადგენას სატენდერო მოთხოვნებთან.

ავტომანქანების რაოდენობა და საწვავის ხარჯვა

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტს, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით,⁴⁸ რომლის თანახმად ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების საშტატო რიცხოვნობაზე. მნიშვნელოვანია თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ლიმიტი განისაზღვროს კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, ხარჯვის ეკონომიური და რაციონალური პრინციპების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია დააწესოს სათანადო კონტროლი საწვავის ხარჯვის პროცესზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.⁴⁹

საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის კონტროლი აგაი სისტემის მეშვეობით ხორციელდება.⁵⁰ აღნიშნული სისტემის მეშვეობით საწვავი გამოიყენება მხოლოდ ავტორიზებულ ავტომანქანებზე და მინიმუმამდეა დაყვანილი არამიზნობრივი ხარჯვის რისკები, როგორცაა საწვავის ჩასხმა არასამსახურებრივი დანიშნულებისათვის, არავტორიზებულ ავტომანქანაში და სხვ.

გამოვლენილი გარემოება. სიღნაღის მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტი, სამსახურებრივი

⁴⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

⁴⁹ 2018 წლის 30 მარტის რედაქციით.

⁵⁰ აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე პრემიუმის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

უფლებამოსილების განსახორციელებლად, სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 2 განპიროვნებული და 5 სამორიგო ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელთა რაოდენობა მთავრობის რეკომენდაციით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებშია. თუმცა, მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების გარდა, მუნიციპალიტეტი საწვავს ხარჯავდა 2017 წელს 41 ერთეულ, ხოლო 2018 წელს 40 ერთეულ, თანამშრომლების კერძო საკუთრებაში მყოფ ავტომანქანებზე.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ გაიხარჯა 262.4 ათასი ლარის ღირებულების 118.3 ტონა საწვავი.⁵¹ სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი სისტემის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს მუნიციპალიტეტმა გახარჯა 22.8 ათასი ლარის ღირებულების 11.4 ტონა დიზელის ტალონები, რომლითაც ისარგებლეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა.

შვებულებისა და მივლინების პერიოდში გახარჯული საწვავი

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ 1110 ლიტრი საწვავი გახარჯულია თანამშრომლების შვებულებაში ყოფნის დროს, მათ შორის 780 ლიტრი ჩასხმულია კერძო საკუთრებაში მყოფ ავტომობილებში, ხოლო 330 ლიტრი - მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ განპიროვნებულ ავტომანქანებში.

ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც საწვავის ხარჯვა დაფიქსირდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაში მყოფი პირის სარგებლობაში არსებულ მანქანაზე. კერძოდ: 2018 წელს 12-დან 19 ივნისამდე პერიოდში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ერთ-ერთ ავტომანქანაში, რომლით მოსარგებლე იმ დროისათვის მივლინებით იმყოფებოდა პოლონეთში, განხორციელდა 80 ლიტრამდე საწვავის ჩასხმა.

საწვავის ჩასხმის ჯერადობები

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შედეგად გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც საწვავის გამოყენება მოხდა სავარაუდოდ არაავტორიზებულ ავტომანქანაში. კერძოდ, ცალკეულ ავტომანქანებზე ერთი დღის განმავლობაში, დროის მცირე ინტერვალში, საწვავი ჩასხმულია რამდენჯერმე და მათი ჯამური მოცულობა ავტომანქანის საწვავის ავზის მოცულობას აღემატება. ასეთი შემთხვევები გამოვლენილია ძირითადად ერთსა და იმავე ავტომობილებზე. მაგალითად:

⁵¹ მათ შორის 16.9 ათასი ლარის 8.6 ტონა საწვავი (დიზელი) გაიხარჯა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ ორ ავტობუსსა და ერთ ტრაქტორზე.

ცხრილი №6. საწვავის ჩასხმის ჯერადობები

სახელმწიფო ნომერი	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო	ჩასხმული საწვავის მოცულობა (ლიტრი)	ჯამური საწვავი (ლიტრი)	ავზის მოცულობა (ლიტრი)
MIS-507	11.07.2017	18:14	59	100	70
		18:35	41		
	29.08.2017	12:18	58	100	
		12:54	42		
	30.09.2017	7:27	57	100	
		8:04	43		
YDY-167	08.02.2017	12:31	49	100	55
		12:53	36		
		13:06	15		
	08.04.2017	18:29	52	100	
		18:55	41		
		19:13	7		
	03.05.2017	10:55	48	100	
		11:24	42		
		11:38	9		
	03.06.2017	11:16	50	100	
		11:42	35		
		11:58	15		
	10.07.2017	10:03	52	100	
		10:32	48		
	03.09.2017	11:33	54	100	
		11:59	41		
		12:09	5		
	14.10.2017	16:17	50	100	
		16:44	43		
		17:03	7		
	05.11.2017	11:31	50	100	
		12:07	50		
	05.01.2018	13:22	51	100	
		13:55	49		
	05.02.2018	11:02	53	100	
		11:32	47		
	12.04.2018	15:49	47	100	
		16:11	37		
		16:27	16		
	09.05.2018	15:13	51	100	
		15:44	49		
	02.08.2018	14:24	54	100	
		15:03	46		
	06.09.2018	11:46	50	100	
		12:17	50		
	02.10.2018	12:58	49	100	
		13:33	51		
	04.11.2018	10:36	49	100	
		11:12	51		

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ ავტომანქანებზე, რომლებზეც ბრძანებით გამოიყოფოდა საწვავი, სავარაუდოდ მყარად არ იყო დამაგრებული აგაი სისტემის ჩიპი და მისი გამოყენებით საწვავის ჩასხმა ხდებოდა სხვა ავტომანქანებშიც. შესაბამისად, ჩიპის გამოყენება, სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში, შესაძლებელი არის არასამსახურებრივი მიზნებისთვის, არაავტორიზებულ ავტომანქანებზეც.

დასკვნა: მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე.

მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული კონტროლის მექანიზმები, რომლის მეშვეობით შეძლებდა იმის დადგენას თუ რამდენად ეფექტიანად და მიზნობრივად იხარჯება თანამშრომლებზე გაცემული საწვავი. კერძოდ, არ არის შესწავლილი და გაანალიზებული, მიმდები პირები საწვავს მოიხმარენ სამსახურებრივი დანიშნულებით თუ პირადი მიზნებისათვის. გამომდინარე აღნიშნულიდან, აუდიტის ობიექტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

რეკომენდაცია №5. მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე. მერიამ დააწესოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის არარაციონალური და არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების თავიდან აცილებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს საწვავის ხარჯვის საკითხი და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები პასუხისმგებელი პირების მიმართ.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

კრიტერიუმი. საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის სახე, ოდენობა, შემოღების წესი და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“. კანონის მიხედვით, ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან

ფიზიკური და იურიდიული პირები.⁵² ამ კანონით დადგენილი წესით ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით⁵³ დააწესა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი. მერია ვალდებულია უზრუნველყოს საკრებულოს მიერ განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას (ამოღება) ახორციელებდა ა(ა)იპ – „კომუნალური 1“.⁵⁴ დასუფთავების მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ შეადგინა: 2017 წელს – 29.4 ათასი ლარი, მათ შორის, ფიზიკური პირებიდან – 13.6 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან – 15.8 ათასი ლარი; 2018 წელს – 16.9 ათასი ლარი, მათ შორის, ფიზიკური პირებიდან – 1.7 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან – 15.2 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისაღები შემოსავლის სრული აღრიცხვა. აბონენტთა რაოდენობისა და მისაღები შემოსავლების განსაზღვრა ხდება ა(ა)იპ-ის ინკასატორების მიერ თავიანთ სექტორში (ქ. სიღნაღი, ქ. წნორი, სოფ.საქობო) აღრიცხული გადამხდელების მიხედვით. შედეგად, მუნიციპალიტეტში არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღებ შემოსავალზე. ინკასატორები ფიზიკური პირებისაგან მოსაკრებლის სახით იღებენ ნაღდ ფულს და შემდეგ რიცხავენ მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე, რაც ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებებისა და არასრული გადამხდელთა ბაზის პირობებში არაკეთილსინდისიერ ქმედებების (თანხის მითვისება) რისკებს შეიცავს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბიუჯეტით პროგნოზირებული დასუფთავების მოსაკრებელი განსაზღვრულია წინა წლებში მიღებული თანხის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა შესაძლებელია სუბიექტური იყოს და მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ რეალურად მისაღები სარგებლისგან, რომლის ამოღებაც შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გადამხდელი იურიდიული და ფიზიკური პირების სრულად აღრიცხვისა და მათზე დაყრდნობით შემოსავლების პროგნოზირების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების

⁵² საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი პირველი.

⁵³ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 თებერვლის №17 დადგენილება.

⁵⁴ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი. 2017 წელს მოქმედებდა შპს-ის სახით.

საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

რეკომენდაცია №6. მუნიციპალიტეტის მერიამ, დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის გაანგარიშება. ასევე დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მობილიზებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

უფასო სასაბუღალტრო მომსახურების დაფინანსება

კრიტერიუმი. მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით,⁵⁵ იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს. ასევე, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირებისას დგება შესაბამისი აქტი, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტით შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება.

გამოვლენილი გარემოება. ქ. სიღნაღის და ქ. წნორის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი 184 მოქალაქისათვის საკვების მომზადების და მიწოდების მომსახურებაზე, 2017 წელს ხელშეკრულება გაფორმებულია ი/მ „ირმა ნასყიდაშვილთან“,⁵⁶ ღირებულებით - 99.1 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს ი/მ „ბესიკ დოხნაძესთან“,⁵⁷ ღირებულებით - 116.6 ათასი ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2017-2018 წლებში მერიის სოციალური სამსახურის ინსპექტირების ჯგუფი, საკვები პროდუქტების ხარისხისა და სასაბუღალტრო სანიტარული მდგომარეობის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის მიზნით, ახორციელებდა პერიოდულ შემოწმებას. ინსპექტირების ჯგუფი ადგენდა შემოწმების აქტებს, რომლის შესწავლით გაირკვა, რომ 2018 წელს ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან დარღვევებს. კერძოდ, კერძები არ იყო სათანადოდ მომზადებული, ამასთანავე, ნორმით დადგენილთან შედარებით იყო მცირე ულუფები და სხვ. ასევე, რიგ შემთხვევაში მერიაში შემოსულია ბენეფიციარების ერთობლივი განცხადებები, საკვების უხარისხობაზე.

⁵⁵ ხელშეკრულება №200. 26.12.2017.

⁵⁶ NAT160004375.

⁵⁷ NAT 170013922.

მიუხედავად აღნიშნულისა, მერიის მიერ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მექანიზმები. შედეგად, 2018 წელს მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა - 116.6 ათასი ლარი.

2019 წლიდან უფასო სასადილოს მომსახურებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო“.

დასკვნა: 2018 წელს ქ. სიღნაღის და ქ. წნორის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი 184 მოქალაქისათვის საკვების მომზადების და მიწოდების მომსახურებას მიმწოდებელი ახორციელებდა არაჯეროვნად. მიუხედავად ამისა, მერიას შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია. შედეგად, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფმა მოსახლეობამ ვერ მიიღო ხელშეკრულებით განსაზღვრული, ხარისხიანი მომსახურება.

საკონსულტაციო მომსახურება

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის ფუნქციებია მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება, ბიუჯეტის დაგეგმვა-ანალიზი, შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა, ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს დებულებით ევალება საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია, მართვა და სხვ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,⁵⁸ მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართოს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%.

გამოვლენილი გარემოება. 2018 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმი გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მემორანდუმის თანახმად, ასოციაცია უზრუნველყოფს კორპორაციული წევრის მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის ფისკალურ საქმეებში, განსაზღვრავს თვითმმართველობის ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკის ძირითად პრობლემებს, დახმარებას უწევს კორპორაციულ წევრს ბიუჯეტის ფორმირებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში. აგრეთვე მუნიციპალიტეტს უნდა გაუწიოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება, მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების, თვითმმართველობის სამართლებრივი

⁵⁸ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებში და სხვ. მემორანდუმის ფარგლებში, 2018 წელს მუნიციპალიტეტმა ასოციაციას გადაუხადა 10.0 ათასი ლარი.

2017-2018 წლებში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და იურიდიულ განყოფილებაში დასაქმებული იყო 9-10 თანამშრომელი, რომელთა ჯამურმა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში 185.8 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო სამსახურში ისეთი კადრები დაესაქმებინა, რომელთაც გააჩნდათ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა, ამ ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარ-ჩვევები და შესაბამისად, დაიცავდნენ მერიის ინტერესებს სხვადასხვა მხარეებთან ურთიერთობაში. აგრეთვე, უზრუნველყოფდნენ ბიუჯეტის შედგენა-შესრულებას, ქონების აღწერას და სხვ. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად, მერიას შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% უნდა მიემართა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც არ განუხორციელებია. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ საკონსულტაციო მომსახურებისთვის ხარჯის გადების მიზანშეწონილობა არ არის დასაბუთებული.

დასკვნა: მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა განუხორციელებინათ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 10.0 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

რეკომენდაცია №7. მუნიციპალიტეტის მერიამ, შტატით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისთვის, არ გადაიხადოს დამატებითი სახსრები. მიზანშეწონილია, მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში სათანადო კვალიფიკაციის პირების დასაქმებას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს შეუძლია შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% მიმართოს მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს დაფინანსება

კრიტერიუმი. საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის შედგენისას და შესაბამისად, ხარჯების დაგეგმვისას, უნდა გაითვალისწინოს ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული. შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროექტის/პროგრამის დაფინანსების შემთხვევაში,

თვითმმართველობამ და ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს გაწეული ხარჯის შესაბამისი სარგებელი.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ კახეთის რეგიონულ განვითარების სააგენტოს ანგარიშზე, გრანტის სახით გადარიცხულია 25.0 ათასი ლარი.

სააგენტოს მიზანია ხელი შეუწყოს კახეთის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, მეწარმეების გაძლიერებისთვის საჭირო ინფორმაციის/სერვისების მიწოდებას და რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განახორციელა ა(ა)იპ კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტომ და შედეგად რა სარგებელი მიიღო თვითმმართველობამ. აღსანიშნავია, რომ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 2018 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი 12.5 ათასი ლარიდან ა(ა)იპ კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტომ 10.9 ათასი ლარი (87%) გამოიყენა ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 25.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

საკრებულოს წევრების ანაზღაურება

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობრივ წევრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას.⁵⁹ მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. მერიის მიერ აღნიშნული ხარჯი უნდა ანაზღაურდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.⁶⁰

⁵⁹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

გამოვლენილი გარემოება. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2017-2018 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 133.5 ათას ლარი.⁶¹ საკრებულოს დადგენილებით,⁶² აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად 397 ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად.

შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალებები და იდენტური ხარჯი.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე კანონმდებლობის დარღვევით ანაზღაურებული ხარჯების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დასკვნა: სიღნაღის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 133.5 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ აანაზღაუროს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და

⁶¹ 2017 წელი – 74.5 ათასი ლარი, 2018 წელი – 59.0 ათასი ლარი.

⁶² მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს №28 დადგენილება, მუხლი პირველი.

პრაქტიკა, სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი. კანონმდებლობის თანახმად,⁶³ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს. შედეგების გამოსავლენად ორგანიზაციის ბუღალტერია ადგენს შესაბამის შედარების უწყისებს. შედარების უწყისში აისახება ინვენტარიზაციის შედეგები – სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები, თუმცა პროცესი არ არის დასრულებული. კერძოდ, არ არის შედგენილი საინვენტარიზაციო აქტი და არ არის გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები. გარდა ამისა, არ არის გამოვლენილი გამოუყენებელი აქტივები და არ შემოწმებულა ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა. არ მომხდარა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების 2018 წლის ინვენტარიზაცია, მიმდინარე პერიოდში ტარდება საქართველოს ფინანსისტა ასოციაციის დახმარებით, თუმცა არ არის დასრულებული.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის არასათანადოდ ჩატარების შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულია სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებული პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

დასკვნა: მუნიციპალიტეტში ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. 2017-2018 წლებში არ არის ჩატარებული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს

⁶³ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაცია №9. მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. შედეგად, შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების (მეტობა ან დანაკლისი) დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა, რაც გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი. შიდა აუდიტის სამსახური სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს დაწესებულების რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური ატარებს აუდიტებს და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. აუდიტები ტარდება წლიური გეგმის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე. რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შესაფასებლად, შიდა აუდიტის წლიური გეგმა უნდა ითვალისწინებდეს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. კანონმდებლობის მიხედვით, შიდა აუდიტის დაგეგმვა ხდება რისკის შეფასების საფუძველზე. მისი შედეგები აისახება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში, რომლის საფუძველზე შემუშავდება შიდა აუდიტის წლიური გეგმა.

გამოვლენილი გარემოება. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. სამსახური უფლებამოსილია მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

შემოწმებით გაირკვა, რომ 2017-2018 წლებში შიდა აუდიტის სამსახურის მიერ არ არის შედგენილი სტრატეგიული გეგმები და არც რისკის შეფასებები განხორციელებულა. აღნიშნულ პერიოდში სამსახურის მიერ ჩატარებულია 15 აუდიტი, მათ შორის ა(ა)იპ-ებში - 13 და შპს-ებში - 2 აუდიტი. აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულია მხოლოდ ფინანსური აუდიტები. შედეგად არ არის შესწავლილი და შეფასებული ისეთი მიმართულებები როგორიცაა:

- J დაწესებულების საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობა;
- J შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება, მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით;
- J ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები (მიგნებები). შიდა აუდიტის ანგარიშების შესწავლით, გაირკვა, რომ ანგარიშებში არ არის გაანალიზებული დარღვევების გამომწვევი მიზეზები და შიდა კონტროლის სისტემები, არ არის გამოვლენილი სისტემური ხასიათის რისკები. გამოვლენილ დარღვევებზე გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. ამასთანავე, არ არის შედგენილი და აუდიტის ობიექტისათვის წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2017-2018 წლებში არასათანადოდ არის მომზადებული საქმიანობის წლიური ანგარიშები. კერძოდ, წლიურ ანგარიშებში არ არის ასახული კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია;

- J ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები აუდიტის ობიექტებში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;
- J შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები;
- J წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

დასკვნა: შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესების და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით, არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას და დასახული მიზნების მიღწევას, რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. გამომდინარე აღნიშნულიდან, 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა არასათანადოდ.

რეკომენდაცია №10. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ შესაძლებელი იყოს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლა და შეფასება, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენა. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ 2016 წელს გამოვლენილი კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, გატარებულია სხვადასხვა ღონისძიება. აუდიტის შედეგად გამოვლენილ 5 გარემოებაზე მუნიციპალიტეტს განხორციელებული აქვს რეაგირება, 1 გარემოებაზე რეაგირება განხორციელებულია ნაწილობრივ, ხოლო 4 დარღვევა-ნაკლოვანება შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩა. გარემოებები რომლებზეც მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია რეაგირება, ვრცელი ფორმით განხილულია მიმდინარე აუდიტის ანგარიშში, შესაბამის თემებში⁶⁴.

დასკვნა: მუნიციპალიტეტმა სათანადო რეაგირება არ მოახდინა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილ და აუდიტის ანგარიშში ასახულ გარემოებაზე, რაც დაუშვებელია.

რეკომენდაცია №11. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს, რატომ არ განხორციელდა სათანადო რეაგირება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის დროს გამოვლენილ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, დამატებით შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ანგარიშში მითითებული დარღვევა-ნაკლოვანებების სრულად აღმოსაფხვრელად. ასევე გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები

⁶⁴ გვ. 27, თავი „გამარტივებული წესით შეძენილი სამშენებლო სამუშაოები“, გვ. 39, თავი „დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება“, გვ. 44, თავი „საკრებულოს წევრების ანაზღაურება“, გვ. 46, თავი „ინვენტარიზაცია“.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებაზე რეაგირება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.


აუდიტორთა
სახელი, გვარი

ხელმოწერა

ბადრი ჯანჯღავა
წამყვანი აუდიტორი




ლალი ამბროლაძე
აუდიტორი



ზურაბ ტუსკაძე
აუდიტორი



თამარ კუხიანიძე
აუდიტორ-ასისტენტი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38